ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №70

(გამარტივებული შესყიდვა, მონეტარული ზღვრების დაცვით)

ქ. მარნეული „12" „აპრილი" 2022 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი **მერის კენან ომაროვის** სახით, და, **ფ.პ. „გიორგი კალატოზიშვილი"** შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „შემსყიდველი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

<u>მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების 07/04/2022 წლის N07-3222097168 მოხსენებითი გარათის საფუძველზე, მერიის ბალანსზე არსებული ორი ერთეული სეიფის, ჩამკეტი მექანიზმისთვის ელექტრო მაგნიტების **(CPV 445 21120 - ელექტრონული კოდიანი საკეტები)** (თანმდევი მომსახურებით შესყიდვა) შესყიდვა .</u>

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **511 (ხუთასთერთმეტი) ლარს.**

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანომდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. დაფინანსების წყარო – **2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.**

4. მხარეთა ვალდებულებები:

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1. უზრუნველყოს საქონლის **მიწოდება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ამა წლის 15 აპრილის ჩათვლით,** შემდეგ მისამართზე: **ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. N-73.**

4.1.2. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

4.1.3. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1. უზრუნველყოს ინსპექტირების/კონტროლის განხორციელება;

4.2.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი არ იქნება დაზიანებული, არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული და უვარგისი საქონლის შეცვლა ან/და გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი/ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ტექნიკური კონტროლი/ინსპექტირება ან/და გამოსცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

6.2. ინსპექტირებას განახორციელებს **მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ხელშეკრულებით დასაქმებული პირი <u>ოქტაი აბასოვი:</u>**

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა 1(ერთი) დღის ვადაში.

7. საქონლის მიღება–ჩაბარების წესი

7.1. საქონლის მიღება წარმოებს მიღება–ჩაბარების აქტის სახით. მიღება–ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი პირის/პირების ხელმოწერით. ხელშეკრულების პირობების (ვადების, რაოდენობის, ხარისხის) და კონტროლის განმახორციელებლი პირის/პირების დადებითი დასკვნის შესაბამისად.

7.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებაზე უფლებამოსილ პირს/პირებს წარმოადგენს **მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი ან მოვალეობის შემსრულებელი.**

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში;

8.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

8.3. ანგარიშსწორების ვადა – **მიღება–ჩაბარების აქტის (საქონლის მიღებიდან) 10 სამუშაო დღის განმავლობაში.**

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზის შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების ან/და სხვა გამომწვევი მიზეზის თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე–11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის 4.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის (თანმდევი მომსახურებით) მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%–ის ოდენობით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა შეადგენს 5 (ხუთი) დღეს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%–ის ოდენობით.

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარი გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

11.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2. თუ მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ფორს–მაჟორი

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს–მაჟორული მდგომარეობით.

14.2. ამ მუხლის მიზნებისთვის „ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომელსაც გააჩნიათ წინასწარ

გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს–მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. ინტერესთა კონფლიქტის არარსებობა:

*ინტერესთა კონფლიქტი 14.1. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი, ხელმოწერით ადასტურებს, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ გამარტივებული შესყიდვის მეთოდით შერჩეულ პრეტენდენტთან **ფ.პ. „გიორგი კალატოზიშვილი"-თან** სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრულ ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.*

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1.** წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის **ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია	***ფ.პ. „გიორგი კალატოზიშვილი"***
საიდენტიფიკაციო კოდი: 234 232 149	*საიდენტიფიკაციო კოდი: 28001027993*
მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. N-73	*მისამართი: ქ. რუსთავი*
საბანკო რეკვიზიტები:	*საბანკო რეკვიზიტები:*
სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22	*ბანკი/ბანკის კოდი: სს „თიბისი ბანკი" / TBCBGE22*
ანგ. No.ა GE 24 NB 0330 1002 0016 5022	*ანგ. GE 20 TB 7533 5450 6360 0019*
	ტელეფონი: 568 85 11 66

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი :	***ინდივიდუალური მეწარმე:***
კ.ომაროვი	***გ. კალატოზიშვილი***

MARNEULI MUNICIPALITY Digitally signed by MARNEULI MUNICIPALITY Date: 2022.04.12 14:32:16 +04'00'

მხარეთა მიერ გამოყენებულია ელექტრონული ხელმოწერები

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია
ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური
უზრუნველყოფის სამსახური

წერილის ნომერი:**07-3222097168**
თარიღი: **07/04/2022**

ადრესატი:

კენან ომაროვი
მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ კენან ომაროვს

მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის

განყოფილების უფროსის ბესიკ სეხნიაშვილის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

მოგახსენებთ, რომ ჩვენს მიერ ინიცირებული მოხსენებითი ბარათის (რეგ. N 07-3222209093 31,03,22 წ.) ტექსტში მოხდა ცვლილება.

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში დაზიანებულია ორი ცეცხლგამძლე, კოდიანი ელექტრონული სეიფის გამღები მექანიზმი, ელექტრო მაგნიტები, რომლებიც საჭიროებს შეცვლას თანმდევი მომსახაურეობით. თანხა შეადგენს 400 (ოთხასი) ლარს.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს უზრუნველყოს ხარჯებთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების გატარება.

დანართი 3 ფურცელი.

პატივისცემით,

ბესიკ სეხნიაშვილი

ქონების მართვისა და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური-მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ლარის ანგარიშის
რეკვიზიტები
სს თიბისი ბანკი

საბანკო კოდი - TBCBGE 22

მიმღების დასახელება - გიორგი კალატოზიშვილი

ანგარიშსწორების ანგარიში - GE20TB7533545063600019

FOR GEL TRANSFERS

JSC TBC Bank

BANK CODE - TBCBGE 22

NAME OF BENEFICIARY - Giorgi Kalatozishvili

BEN' S ACCOUNT - GE20TB7533545063600019

GEO

საქართველო

სახელი / FIRST NAME
გიორგი
GIORGI

გვარი / LAST NAME
კალატოზიშვილი
KALATOZISHVILI

მოქ. / CIT: GEO
სქესი / SEX: მ / M
პირადი No / PERSONAL No: 35001080157

დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH: 08.05.1986
მოქმედების ვადა / DATE OF EXPIRY: 14.08.2030

ბარათის No / CARD No: 19IC25695

ხელმოწერა / SIGNATURE



დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
რუსთავი
RUSTAVI

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
14.08.2020

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

დამკვეთი: სარ; დამამზადებელი: MB-IDS 2019
სუს-ს რეგისტრაციის No 26-3184

IDGE019IC25695135001080157<<<<
8605087M3008144GEO<<<<<<<<<<<2
KALATOZISHVILI<<GIORGI<<<<<<<<